## სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ბიზნესის ადმისნიტრირება /Bussines Administration |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი /Bachelor of Bussines Administration |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.<br><br>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | პროფესორი გელა სვირავა (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში) |

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

| | |
|---|---|
| **პროგრამის მიზნები** | **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:**<br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს–პროცესებისა და ორგანიზაციის ეფექტიან მართვას, რაშიც მას დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისთვის საჭირო აუცილებელი უნარ–ჩვევები. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული, სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა მიზნად ისახავს კვლევისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. |
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლების, ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციების, მიკრო და მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპების ცოდნა. აქვს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, სტრატეგიული მენეჯმენტის, რისკების მენეჯმენტის, პროექტების მართვის, ლოგისტიკის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ზოგადი მენეჯმენტის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აგრეთვე აცნობიერებს მათ ურთიერთზემოქმედებას. იცის ინვესტიციების, დაზღვევის, აუდიტისა და ბუღალტერიის, საბანკო საქმის, საგადასახადო დაბეგვრის საკითხები. აქვს ცოდნა მსოფლიო ქვეყნების შესახებ, აცნობიერებს ეკოლოგიური მოვლენებისა და პრობლემების არსს და მათ გავლენას მსოფლიო ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოზე. იცის აგრარული სფეროს ეკონომიკაზე, მასში არსებულ პრობლემებზე. ტურიზმის ინდუსტრიისა და ტურიზმის მენეჯმენტის საკითხებზე. ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და ბიზნესის სფეროში მუშაობისთვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს. სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს. აქვს ცოდნა ორგანიზაციების ეროვნულ და გლობალური გარემოს შესახებ. |
| (ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს) | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში, შეუძლია ორგანიზაციაში პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს პროცესის მონაწილეების განსაზღვრა, ბიზნესში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება მიკრო და მაკროეკონომიკური კანონების გათვალისწინებით, ადამიანური, ფინანსური რესურსების მართვა, მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება. ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება, შეუძლია საბანკო საქმიანობის ორგანიზება, საგადასახადო ანგარიშსწორების წარმოება, სარეკლამო საქმიანობა, ინვესტიციებისა და რისკების მართვა, ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრა, საბანკო და საფინანსო მაჩვენებლების გაანგარიშება. ანგარიშების მომზადება და წარდგენა, ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება, პროექტის მართვის უნარი, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, პასუხისმგებლობის ფარგლებში საჭირო რესურსების განსაზღვრა და მართვა. სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტირების უნარი, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაჭრა, მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი. ოპერაციულ და ტექნიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების |

| | |
|---|---|
| | უნარი, იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს საბუღალტრო აღრიცხვაში, ადამიანური რესურსების მართვასა და მარკეტინგში. შეუძლია ბიზნეს გეგმის შედგენა, ტურიზმის სფეროში ბიზნესის წარმართვა. სადაზღვევო ბაზრის პროდუქტების გამოყენება. აგრარულ სფეროში ბიზნესის წარმართვა და ოპტიმალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება. |
| | **დასკვნის უნარი**<br>შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების, ინსტრუქციების შესაბამისად. ახალი და განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი, სამეცნიერო ცოდნისა და ბიზნესის სფეროსთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით აქვს თვითანალიზის უნარი. შეუძლია სპეციფიკური სამუშაოების ან კომპონენტების გამოყოფა და განრიგების შედგენა და სამუშაოს შესრულება წინასწარ დაგეგმილ ვადებში, მიკრო და მაკროეკონომიკური პრობლემების გაანალიზებით დასკვნების გაკეთება. ფირმის ეკონომიკური საქმიანობის შეფასება. მარკეტინგული კვლევის შედეგის საფუძველზე ოპტიმალური დასკვნების გაკეთება. |
| | **კომუნიკაციის უნარი**<br>შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება, საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნესის ტერმინოლოგიის გამოყენებით. შეუძლია საკითხის ჩამოყალიბება როგორც ზეპირად ასევე წერილობით, ფლობს უცხო ენას B2 დონის შესაბამისად _ წარმოადგენს დამოუკიდებელ მოსაუბრეს ბიზნესის სფეროში. ინგლისურად შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი. ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა, შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე, ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების დამოუკიდებლად კითხვა, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება.<br>იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ბიზნესის შესაბამისი ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი. |
| | **სწავლის უნარი**<br>შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურისა და თანამედროვე ინტერნეტ საშუალებების გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა. შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. |
| | **ღირებულებები**<br>აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კულტურულ პასუხისმგებლობას ორგანიზაციასა და საზოგადოებაში.<br>აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს. |
| სწავლება-სწავლის მეთოდები | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.). |
| სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო |

| | |
|---|---|
| | შეფასებას (100 ქულა).<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.<br><br>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.<br><br>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.<br><br>შეფასების სისტემა უშვებს:<br><br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br><br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br><br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br><br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. |
| **დასაქმების სფეროები** | აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს მართვის ყველა დონეზე, მათ შორის კომპანიის დირექტორატში, ოპერაციულ მენეჯმენტში, ლოჯისტიკაში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, მართვის საინფორმაციო სისტემებში და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში, როგორიცაა: შესყიდვების მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი, რეკლამების მენეჯერი, ოპერაციების მენეჯერი, პროექტის მენეჯერი, საკრედიტო მენეჯერი, კადრების მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, აუდიტორი, ფინანსური მენეჯერი, |

| | |
|---|---|
| | კომერციული დირექტორი და სხვა. |
| სწავლის გაგრძელების საშუალება | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.<br><br>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. |
| პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზ-ღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:<br><br>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;<br>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;<br>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპი-უტერული პროგრამები;<br>• სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. |
| პროგრამის ადამიანური რესურსი | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოც-დილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში) |

**პროგრამის სტრუქტურა**

| |
|---|
| ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს: |

საუნივერსიტეტო საგნებს 30 კრედიტის ოდენობით
ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 190 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ორი მოდულისა (ფინანსების, მენეჯმენტის) და ცალკეული კურსების სახით
ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებს 10 კრედიტი
(თავისუფალი კრედიტები) 10 კრედიტი

| | |
|---|---|
| საუნივერსიტეტო საგნების 30 კრედიტი სავალდებულოა ყველასთვის | საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესსა სა საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.<br><br>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებული კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენისა და აკადემიური წერის სწავლებას. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომუნიკაციის უნარისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავება. აღნიშნული გულისხმოსბ ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლებასა და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას სტუდნეტისთვის, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისას არა აქვთ შეზღუდვა ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, ჩარიცხვის შემთხვევაში იყოფიან ჯგუფებად უცხო ენის ცოდნის დონეების მიხედვით და შესაბამისად სწავლობენ სათანადო საფეხურიდან. |
| ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 190 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ორი მოდულისა (ფინანსების, მენეჯმენტის) და ცალკეული კურსების სახით | ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 190 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ორი მოდულისა (ფინანსების, მენეჯმენტის) და ცალკეული კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლბელო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნულს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა. |
| ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 10 კრედიტი | ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 10 კრედიტი სტუდენტს აძლევს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში მისთვის მიწოდებული სასწავლო მოდულების გაძლიერების საშუალებას. არჩევითი კურსების სია წარმოდგენილია სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და დასკვნის უნარის გამომუშავებისთვის საჭირო დამატებითი კომპეტენციებისთვის საჭირო სასწავლო კურსების სახით, რომლებიც მიზანშეწონილია სტუდენტმა გაიაროს ან ერთი რომელიმე მოდულის შესავსებად, ან სამივე მოდულის ფარგლებში თითო სასწავლო კურსის სახით. სასწავლო კურსები სატანადო კრედიტის ფარგლებში აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მოდულების ფარგლებში შესწავლილი კურსების შეწვსების საშუალებას |
| თავისუფალი კრედიტი (10 კრედიტი) | აღნიშნული კრედიტების ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება მისთვის სასურველი სასწავლოი კურსების ათვისების, როგორც ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასევე სასწავცლო უნივერისტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსებიდან. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო კურსების ნუსხა, რომელთაგან სტუდეტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები 10 კრედიტის ფარგლებში.<br>აღნიშნული კრედიტების ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ეძლევა საშუალება ეღიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br>აღნიშნული მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურებს. |

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | | ***საფაკულტეტო სავალდებულო კურსი*** | | | | | | | | | | |
| | | | ***საუნივერსიტეტო საგნები*** | | | | | | | | | | |
| 1. | SUB.1 | წინაპირობის გარეშე | აკადემიური წერა | 5 | | | | | | | | 32 | 93 |
| 2. | SUB.2 | წინაპირობის გარეშე | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 5 | | | | | | | | 46 | 79 |
| 3 | **SUB.3** | | **უცხო ენა** | | | | | | | | | | |
| | SUB.3.1 | წინაპირობის გარეშე | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Elementary) | 5 | | | | | | | | 60 | 65 |
| | SUB.3.2 | SUB.3.1 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Pre intermediate) | | 5 | | | | | | | 60 | 65 |
| | SUB.3.3 | SUB.3.2 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (intermediate) | | | 5 | | | | | | 60 | 65 |
| | SUB.3.4 | SUB.3.3 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (upper-intermediate) | | | | 5 | | | | | 60 | 65 |
| | | | ***ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები*** | | | | | | | | | | |
| 1 | SBB02.1 | წინაპირობის გარეშე | მიკროეკონომიკის პრინციპები | 5 | | | | | | | | 46 | 79 |
| 2 | SBB02.2 | წინაპირობის გარეშე | ქვეყანათმცოდნეობა | 5 | | | | | | | | 46 | 79 |
| 3 | SBB02.3 | წინაპირობის გარეშე | კალკულუსი | 5 | | | | | | | | 46 | 79 |
| 4 | SBB02.4 | SBB02.3 | მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის | | 5 | | | | | | | 46 | 79 |
| 5 | SBB02.5 | SBB02.1 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | 5 | | | | | | | 46 | 79 |
| 6 | SBB02.6 | SBB02.3 | სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | | 5 | | | | | | | 46 | 79 |

[1] ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

[4] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| 7 | SBB02.7 | SBB02.1; SBB02.3 | ბიზნესის საფუძვლები | | 5 | | | | | | | 46 | 79 |
| 8 | SBB02.8 | წინაპირობის გარეშე | გარემო და მდგრადი განვითარება | | 5 | | | | | | | 46 | 79 |
| 9 | SBB02.9 | SBB02.3 | ალბათობის თეორია | | | 5 | | | | | | 46 | 79 |
| 10 | SBB02.10 | წინაპირობის გარეშე | ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი | | | 5 | | | | | | 46 | 79 |
| 11 | SBB02.11 | SBB02.1; SBB02.7 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | | | 5 | | | | | | 46 | 79 |
| 12 | SBB02.12 | SBB02.1; SBB02.7 | ფინანსური აღრიცხვა | | | | 5 | | | | | 46 | 79 |
| 13 | SBB02.13 | SBB02.1; SBB02.7 | მარკეტინგის საფუძვლები | | | | 5 | | | | | 46 | 79 |
| 14 | SBB02.14 | **SUB.3** | ბიზნსეს ინგლისური | | | | | 5 | | | | 32 | 93 |
| 15 | SBB02.15 | SBB02.7 | ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები | | | | | 5 | | | | 46 | 79 |
| 16 | SBB02.16 | SBB02.1; SBB02.7 | ფირმის ეკონომიკა | | | | | 5 | | | | 46 | 79 |
| 17 | SBB02.17 | SBB02.1; SBB02.23.1 | დაზღვევა | | | | | | | | 5 | 46 | 79 |
| 18 | SBB02.18 | SBB02.13 | სარეკლამო საქმიანობა | | | | | | 5 | | | 46 | 79 |
| 19 | SBB02.19 | SBB02.7 | საერთაშორისო ბიზნესი | | | | | | | 5 | | 46 | 79 |
| 20 | SBB02.20 | SUB.2 | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში | | | | | | 5 | | | 46 | 79 |
| 21 | SBB02.21 | SBB02.5; SBB02.7 | რეგიონული ეკონომიკა | | | | | | | | 5 | 46 | 79 |
| 22 | SBB02.22 | SBB02.16; SBB02.13 | ლოჯისტიკა | | | | | | | | 5 | 46 | 79 |
| 23. | **SBB02.23** | | **ფინანსები** | | | | | | | | | | |
| | SBB02.23.1 | SBB02.1; SBB02.5 | ფინანსების თეორია | | | 5 | | | | | | 32 | 93 |
| | SBB02.23.2 | SBB02.1; SBB02.23.1; SBB02.3 | საგადასახადო საქმე | | | | 5 | | | | | 46 | 79 |
| | SBB02.23.3 | SBB02.23.1 | კორპორაციული ფინანსები | | | | 5 | | | | | 32 | 93 |
| | SBB02.23.4 | SBB02.23.1 | საბანკო საქმე | | | | | 5 | | | | 32 | 93 |
| | SBB02.23.5 | SBB02.23.1; SBB02.23.2 | ინვესტიციები | | | | | | 5 | | | 32 | 93 |
| | SBB02.23.6 | SBB02.23.1 | საჯარო ფინანსები | | | | | | 5 | | | 32 | 93 |

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | SBB02.23.7 | SBB02.23.1 | საერთაშორისო საფინანსო–საკრედიტო ურთიერთობები | | | | | | | 5 | | 32 | 93 |
| 24 | **SBB02.24** | | **მენეჯმენტი** | | | | | | | | | | |
| | SBB02.24.1 | SBB02.1; SBB02.3 | ზოგადი მენეჯმენტი | | | 5 | | | | | | 46 | 79 |
| | SBB02.24.2 | SBB02.1; SBB02.24.1 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | | | | 5 | | | | | 46 | 79 |
| | SBB02.24.3 | SBB02.23.1 | საფინანსო მენეჯმენტი | | | | | 5 | | | | 32 | 93 |
| | SBB02.24.4 | SBB02.24.1 | სტრატეგიული მენეჯმენტი | | | | | | 5 | | | 32 | 93 |
| | SBB02.24.5 | SBB02.24.1 | ოპერაციული მენეჯმენტი | | | | | | | 5 | | 32 | 93 |
| | SBB02.24.6 | SBB02.24.1 | პროექტების მენეჯმენტი | | | | | | | 5 | | 32 | 93 |
| | SBB02.24.7 | SBB02.24.3 | რისკების მენეჯმენტი | | | | | | | 5 | | 32 | 93 |
| | SBB02.24.8 | SBB02.3; SBB02.24.1, SBB02.7, SBB02.1; SBB02.5 | ბიზნესის გეგმა | | | | | | | | 5 | 32 | 93 |
| | SBB02.24.9 | | **პრაქტიკა** | | | | | | | | 5 | | |
| | | | ***ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები და მოდულები*** | | | | | 5 | 5 | | | | |
| 25 | SBB02.25 | SBB02.11 | ბუღალტრული აღრიცხვა  საჯარო სამართლის სუბიექტებში | | | | | | | | | 46 | 79 |
| 26 | SBB02.26 | SBB02.11 | აუდიტის საფუძვლები | | | | | | | | | 32 | 93 |
| 27 | SBB02.27 | SBB02.1; SBB02.7 | ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში | | | | | | | | | 32 | 93 |
| 28 | SBB02.28 | SBB02.1 | ეკონომიკური ანალიზი | | | | | | | | | 46 | 79 |
| 29 | SBB02.29 | SBB02.1; SBB02.5 | აგრარული სექტორის ეკონომიკა | | | | | | | | | 32 | 93 |
| 30 | SBB02.30 | SBB02.7; SBB02.24.1 | ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია, მენეჯმენტი | | | | | | | | | 32 | 93 |
| 31 | SBB02.31 | SBB02.5 | ტურიზმის ინდუსტრიის შესავალი | | | | | | | | | 46 | 79 |

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| 32 | SBB02.32 | SBB02.24.1 | ტურიზმის ეკონომიკა | | | | | | | | | 46 | 79 |
| 33 | SBB02.33 | SBB02.24.1 | ტურიზმის მენეჯმენტი | | | | | | | | | 46 | 79 |
| 34 | SBB02.34 | წინაპირობის გარეშე | ეკოტურიზმი | | | | | | | | | 32 | 93 |
| | | | **თავისუფალი კრედიტები** | | | | | | | 5 | 5 | | |
| | | | **სემესტრში** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | | |
| | | | **წელიწადში** | **60** | | **60** | | **60** | | **60** | | | |

## სწავლის შედეგების რუკა

| # | საგნის კოდი | საგანი | კომპეტენციები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| 1 | SUB.1 | აკადემიური წერა | X | X | X | X | X | X |
| 2 | SUB.2 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | X | X | X | X | X | X |
| 3 | **SUB.3** | **უცხო ენა** | | | | | | |
| 4 | SUB.3.1 | უცხო ენა | X | X | | X | X | |
| 5 | SUB.3.2 | უცხო ენა | X | X | | X | X | |
| 6 | SUB.3.3 | უცხო ენა | X | X | | X | X | |
| 7 | SUB.3.4 | უცხო ენა | X | X | | X | X | |
| | | ***ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები*** | | | | | | |
| 8 | SBB02.1 | მიკროეკონომიკის პრინციპები | X | X | X | | X | |
| 9 | SBB02.2 | ქვეყანათმცოდნეობა | X | X | X | X | X | |
| 10 | SBB02.3 | კალკულუსი | X | X | X | | X | |
| 11 | SBB02.4 | მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის | X | X | X | | X | |
| 12 | SBB02.5 | მაკროეკონომიკის პრინციპები | X | X | X | | X | |
| 13 | SBB02.6 | სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | X | X | X | | X | |
| 14 | SBB02.7 | ბიზნესის საფუძვლები | X | X | X | X | | |
| 15 | SBB02.8 | გარემო და მდგრადი განვითარება | X | X | X | X | X | X |
| 16 | SBB02.9 | ალბათობის თეორია | X | X | X | | X | |
| 17 | SBB02.10 | ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი | X | X | | X | | X |
| 18 | SBB02.11 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | X | X | X | X | | |
| 19 | SBB02.12 | ფინანსური აღრიცხვა | X | X | X | X | | |
| 20 | SBB02.13 | მარკეტინგის საფუძვლები | X | X | X | X | | |
| 21 | SBB02.14 | ბიზნსეს ინგლისური | X | X | X | X | X | X |
| 22 | SBB02.15 | ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები | X | X | | | | X |
| 23 | SBB02.16 | ფირმის ეკონომიკა | X | X | X | X | | |
| 24 | SBB02.17 | დაზღვევა | X | X | X | | | |
| 25 | SBB02.18 | სარეკლამო საქმიანობა | X | X | X | X | X | X |
| 26 | SBB02.19 | საერთაშორისო ბიზნესი | X | X | X | X | X | X |
| 27 | SBB02.20 | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში | X | X | | X | X | |
| 28 | SBB02.21 | რეგიონული ეკონომიკა | X | X | X | | X | |
| 29 | SBB02.22 | ლოჯისტიკა | X | X | X | X | | |
| | **SBB02.23** | **ფინანსები** | | | | | | |
| 30 | SBB02.23.1 | ფინანსების თეორია | X | | X | | X | |
| 31 | SBB02.23.2 | საგადასახადო საქმე | X | X | X | | | |
| 32 | SBB02.23.3 | კორპორაციული ფინანსები | X | X | X | | | |
| 33 | SBB02.23.4 | საბანკო საქმე | X | X | X | | X | |
| 34 | SBB02.23.5 | ინვესტიციები | X | X | X | | X | |
| 35 | SBB02.23.6 | საჯარო ფინანსები | X | X | | | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 36 | SBB02.23.7 | საერთაშორისო საფინანსო–საკრედიტო ურთიერთობები | X | X | | | X | X |
| | **SBB02.24** | **მენეჯმენტი** | | | | | | |
| 37 | SBB02.24.1 | ზოგადი მენეჯმენტი | X | X | | X | X | |
| 38 | SBB02.24.2 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | X | X | X | X | X | X |
| 39 | SBB02.24.3 | საფინანსო მენეჯმენტი | X | X | X | | | |
| 40 | SBB02.24.4 | სტრატეგიული მენეჯმენტი | X | X | X | | | |
| 41 | SBB02.24.5 | ოპერაციული მენეჯმენტი | X | X | X | | | |
| 42 | SBB02.24.6 | პროექტების მენეჯმენტი | X | X | X | | | |
| 43 | SBB02.24.7 | რისკების მენეჯმენტი | X | X | X | X | | |
| 44 | SBB02.24.8 | ბიზნესის გეგმა | X | X | X | X | | |
| 45 | SBB02.24.9 | **პრაქტიკა** | | | | | | |
| | | ***ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები*** | | | | | | |
| 46 | SBB02.25 | ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში | X | X | X | | | X |
| 47 | SBB02.26 | აუდიტის საფუძვლები | X | X | X | X | | |
| 48 | SBB02.27 | ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში | X | X | | X | X | |
| 49 | SBB02.28 | ეკონომიკური ანალიზი | X | X | X | | | |
| 50 | SBB02.29 | აგრარული სექტორის ეკონომიკა | X | X | X | | | |
| 51 | SBB02.30 | ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია, მენეჯმენტი | X | X | X | | | |
| 52 | SBB02.31 | ტურიზმის ინდუსტრიის შესავალი | X | X | X | X | | |
| 53 | SBB02.32 | ტურიზმის ეკონომიკა | X | X | X | | | |
| 54 | SBB02.33 | ტურიზმის მენეჯმენტი | X | X | X | | X | |
| 55 | SBB02.34 | ეკოტურიზმი | X | X | X | X | X | X |
| | | **თავისუფალი კრედიტები** | | | | | | |

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

| N | კურსის სახელწოდება | სახელი გვარი | კვალიფიკაცია |
|---|---|---|---|
| 1 | აკადემიური წერა | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი |
| 2 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | რევაზ ხაინდრავა | ეკონომისტი. ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 3 | უცხო ენა | ტატიანა გულუა | ფილოლოგი |
| 4 | მიკროეკონომიკის პრინციპები | ნინო მაქაცარია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 5 | ქვეყანათმცოდნეობა | ქეთევან ლატარია | ინჟინერ-ეკოლოგ-ტექნოლოგი, გეოგრაფიის დოქტორი |
| 6 | კალკულუსი | პლატონ ჯანჯღავა | მათემატიკოსი, მასწავლებელი |
| 7 | მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის | პლატონ ჯანჯღავა | მათემატიკოსი, მასწავლებელი |
| 8 | მაკროეკონომიკის პრინციპები | ნინო მაქაცარია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 9 | სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | გოგი თოდუა | მექანიკის კვალიფიკაცია, მასწავლებელი |
| 10 | ბიზნესის საფუძვლები | გელა სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი |
| 11 | გარემო და მდგრადი განვითარება | ქეთევან ლატარია | ინჟინერ-ეკოლოგ-ტექნოლოგი, გეოგრაფიის დოქტორი |
| 12 | ალბათობის თეორია | გოგი თოდუა | მექანიკის კვალიფიკაცია, მასწავლებელი |
| 13 | ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი | თამარ ზერიძე | ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| 14 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | მაია სოსელია | გეოგრაფი, გეოგრაფიის მასწავლებელი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 15 | ფინანსური აღრიცხვა | თამარ როსტიაშვილი | ეკონომისტ-მათემატიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 16 | მარკეტინგის საფუძვლები | მაია სოსელია | გეოგრაფი, გეოგრაფიის მასწავლებელი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 17 | ბიზნეს ინგლისური | ტატა გულუა | მასწავლებელი/მასწავლებელი |
| 18 | ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები | ირაკლი აბშილავა | იურისტი, მოსამართლე |
| 19 | ფირმის ეკონომიკა | კახა თოდუა | ინჟინერ-ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 20 | დაზღვევა | კახა თოდუა | ინჟინერ-ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 21 | სარეკლამო საქმიანობა | თამარ ზერიძე | ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| 22 | საერთაშორისო ბიზნესი | გელა სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი |
| 23 | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში | რევაზ ხაინდრავა | ეკონომისტი. ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 24 | რეგიონული ეკონომიკა | გიორგი სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 25 | ლოჯისტიკა | გიული ეხვაია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი |
| 26 | ფინანსების თეორია | შორენა პაჭკორია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 | საგადასახადო საქმე | კახა თოდუა | ინჟინერ-ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 28 | კორპორაციული ფინანსები | გიული ეხვაია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი |
| 29 | საბანკო საქმე | გიული ეხვაია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი |
| 30 | ინვესტიციები | გიული ეხვაია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი |
| 31 | საჯარო ფინანსები | შორენა პაჭკორია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 32 | საერთაშორისო საფინანსო–საკრედიტო ურთიერთობები | გიული ეხვაია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი |
| 33 | ზოგადი მენეჯმენტი | გიორგი სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 34 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | გიორგი სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 35 | საფინანსო მენეჯმენტი | თამარ როსტიაშვილი | ეკონომისტ-მათემატიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 36 | სტრატეგიული მენეჯმენტი | თამარ ზერიძე | ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| 37 | ოპერაციული მენეჯმენტი | თამარ ზერიძე | ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| 38 | პროექტების მენეჯმენტი | რევაზ ხაინდრავა | ეკონომისტი. ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 39 | რისკების მენეჯმენტი | შორენა პაჭკორია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 40 | ბიზნესის გეგმა | გელა სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი |
| 41 | ბუღალტრული აღრიცხვა  საჯარო სამართლის სუბიექტებში | თამარ როსტიაშვილი | ეკონომისტ-მათემატიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 42 | აუდიტის საფუძვლები | თამარ როსტიაშვილი | ეკონომისტ-მათემატიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 43 | ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში | შორენა პაჭკორია | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 44 | ეკონომიკური ანალიზი | კახა თოდუა | ინჟინერ-ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი |
| 45 | აგრარული სექტორის ეკონომიკა | გიორგი სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 46 | ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია, მენეჯმენტი | გიორგი სვირავა | ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 47 | ტურიზმის ინდუსტრიის შესავალი | ქეთევან ლატარია | ინჟინერ-ეკოლოგ-ტექნოლოგი, გეოგრაფიის დოქტორი |
| 48 | ტურიზმის ეკონომიკა | მაია სოსელია | ეკონომიკის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| 49 | ტურიზმის მენეჯმენტი | თამარ ზერიძე | ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| 50 | ეკოტურიზმი | ქეთევან ლატარია | ინჟინერ-ეკოლოგ-ტექნოლოგი, გეოგრაფიის დოქტორი |